ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 184/2

ქ. ხობი 11 ნოემბერი 2013 წელი.

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი:GE71LB0120154257520000/33030862; სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101465; შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის გამგეგლის მოვალეობის შემსრულებლის გოჩა ქაჯაიას სახით

მეორეს მხრივ ფ.პ "გალაქტიონ ძიძავა" (შემდგომში მიმწოდებელი) მისამართი: ხობი. მეორე გურიფული. ტელეფონის ნომერი:591649084; საიდენტიფიკაციო კოდი:58001002048; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი:GE37BG0000000363347400; ბანკი: სს "საქართველოს ბანკი." ბანკის კოდი: BAGAGE22; მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის გალაქტიონ ძიძავას სახით

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 ოქტომბრის N1443 განკარგულების (,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე")საფუძველზე, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:

1. ქალაქ ხობში კოლხეთის ცენტრიდან მარჯვნივ დასახლებისაკენ საავტომობილო გზის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.
2. ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე(გოგებაშვილის გადაკვეთა) სანიაღვრე არხის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.
3. ქალაქ ხობში დუტუ მეგრელის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.
4. ქალაქ ხობში ნინოშვილისა და ფოთის ქუჩების გადაკვეთიდან სანიაღვრე არხის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.
5. ქალაქ ხობში კოსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.
6. ქალაქ ხობში სტალინის ქუჩაზე სანიაღვრე არხიას მოწყობის სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.
7. ქალაქ ხობში წერეთლის ქუჩაზე(ჩიხის ბოლო) სანიაღვრე არხის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

კერძოდ:

ა) კონტროლი საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე;

ბ) ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი სამუშაოთა მოცულობის და პროექტთან

შესაბამისობის დადასტურება, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის და შემსყიდველთან შეთანხმებული შესაბამისი ერთეული სამუშაოთა ღირებულების დადასტურება;

გ) შესრულებული სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ

დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი;

დ)საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრისათვის საკითხის დროულად დაყენება და შესრულებაზე კონტროლი

ე) მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და

ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობის შემოწმება;

ვ) ისეთი სამუშაოებისა და კონსტრუქციული ელემენტების დამოწმება, შეფასება და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობა, რომლებიც დაიფარებიან შემდგომი სამუშაოების შესრულების შედეგად;

ზ) მონაწილეობა სამშენებლო კონტროლისა და მშენებლობის ცალკეული ეტაპის სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის შემოწმება-შეფასებაში და პროექტთან შესაბამისობის დადგენაში;

თ) უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვიანობა;

ი) პირველადი საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებაზე კონტროლი და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ნაკლოვანებებისა და დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანა;

კ) კონტროლი სამშენებლო ორგანიზაციის მიერ საავტორო ზედამხედველობისა და სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მითითებების მიწერილობების, აგრეთვე ტექნიკური ზედამხედველობის იმ მოთხოვნათა შესრულებაზე, რომლებიც მიეკუთვნება სამშენებლო სამუშაოების ხარისხის, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების, ცალკეული სამუშაოების დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხებს;

ლ) მონაწილეობა მუშა კომისიების მიერ ცალკეული სამშენებლო სამუშაოების ხარისხზე და საპროექტო მონაცემთა შესაბამისობაზე ჩატარებულ შემოწმებებში;

მ) საჭიროების შემთხვევაში პროექტსა და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ შემსყიდველისათვის არგუმენტირებული წინადადებების წარდგენა.

ნ) მშენებლობის პროცესში შემსყიდველისათვის სისტემატიურად ინფორმაციების მიწოდება მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

ო) ყოველ თხუთმეტ დღეში ერთხელ შემსყიდველს წარუდგინოს ტექნიკური ანგარიში სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

ტექნიკური ზედამხედველის პასუხისმგებლობა:

1.2 ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ მოქმედი დებულების შესაბამისად ტექნიკური ზედამხედველი პასუხისმგებელია თავის მოვალეობათა ობიექტურ და კვალიფიციურ შესრულებაზე. ამასთან, უხარისხოდ შესრულებული და შეუსრულებელი სამუშაოების მიღების, აგრეთვე, საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაციის არაკვალიფიციურად წარმოების შემთხვევაში ტექნიკური ზედამხედველი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3 ტექნიკური ზედამხედველი პასუხისმგებელია დამკვეთისათვის წარდგენილ ტექნიკურ ანგარიშებში, აგრეთვე, სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შუალედურ ან/და საბოლოო აქტებში მითითებულ მონაცემების სისწორეზე.

1.4 კლასიფიკატორის კოდი:71247000;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გარეშე) შეადგენს **1779.66** (ერთი ათას შვიდას სამოცდაცხრამეტი ლარი და 66 თეთრი)ლარს.

აქედან:

1. ქალაქ ხობში კოლხეთის ცენტრიდან მარჯვნივ დასახლებისაკენ საავტომობილო გზის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა-93.22 ლარი.

2.ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე(გოგებაშვილის გადაკვეთა) სანიაღვრე არხის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა-135.59 ლარი.
3.ქალაქ ხობში დუტუ მეგრელის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა-457.63 ლარი.
4.ქალაქ ხობში ნინოშვილისა და ფოთის ქუჩების გადაკვეთიდან სანიაღვრე არხის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა-389.83 ლარი.
5.ქალაქ ხობში კოსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა-135.59 ლარი.
6.ქალაქ ხობში სტალინის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა-296.61 ლარი.
7.ქალაქ ხობში წერეთლის ქუჩაზე(ჩიხის ბოლო) სანიაღვრე არხის შეკეთების სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა-271.19 ლარი.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

.3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

3.2 მომსახურების მიღება განხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულებისა და მოცულობის მითითებით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და ,,ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიშის". საფუძველზე.

3.3.შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხოდ განხორციელებული მომსახურების მიღებაზე.

3.5.მომსახურების ადგილია: ქ. ხობი

3.6. ყოველ კონკრეტულ მიწოდებაზე მომსახურების დასრულებად ითვლება ,,მიმწოდებლის" მხრიდან შესრულებულ სამუშაოზე შესაბამისი ,,ტექნიკური

ზედამხედველობის ანგარიშის" წარმოდგენა, რაც ჩაითვლება დაფინანსების განხორციელების საფუძვლად.

3.7. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 20 დეკემბრამდე პერიოდი.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.3. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, ,,ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიშის" წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

5.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

5.3. 5.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი

უფლებამოსილია არ მიიღო მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს

ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.5. მიმწოდებლის მიერ 5.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის ბრძანებით განსაზღვრული პირები - კონტროლის ჯგუფი.

6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამერ.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების (იგულისხმება შეუსრულებელი ნაწილის)0.5%-ის ოდენობით;

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებულიპირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტი მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

8.4. 8.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე

მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება,

მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულება დასრულებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

13.2. არც ერთ მხარეს არა- აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან

შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.6. ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან სამი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

საფუძველი:გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ა. სართანიას მოხსენებითი ბარათი(N10/2510 07.11.2013წ.)

14. მხარეთა ხელმოწერები

ხელშეკრულება შეთანხმებულია

1. გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ჯობავა
2. გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის

   მოვალეობის შემსრულებელი: ა. სართანია
3. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა
4. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების

   უფროსი: ბ. შონია
5. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის

   განყოფილების უფროსი: შ. სირაძე

მხარეთა ხელისმოწერა და ბეჭედი

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი	ფიზიკური პირი
გოჩა ქაჯაია	გალაქტიონ ძიძავა